ᲰᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲘᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲬᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 44-Ე ᲬᲚᲘ | № 49 (12865) | ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 27 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1964 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲓᲦᲔᲡ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲜᲝᲛᲔᲠᲨᲘᲐ:

- ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘᲡ ᲛᲔᲝᲥᲕᲡᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲡ
- ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲒᲝᲑᲐᲠᲘ ᲓᲐ ᲗᲐᲜᲐᲨᲔᲛᲬᲔ ᲜᲐᲓᲔᲥᲓᲐ ᲙᲠᲣᲪᲩᲔᲕᲐ
- ᲥᲘᲛᲘᲐ ᲤᲠᲗᲔᲑᲡ ᲨᲠᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲓᲐ ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲠᲫᲝᲚᲝ ᲐᲛᲝᲪᲐᲜᲐ

ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲔᲑᲐ, ᲛᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲤᲣᲠᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲒᲐᲜᲕᲘᲗᲐᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲒᲖᲐᲐ — აი დიდი და საპატიო ამოცანა, რომელიც პარტიამ სოფლის მშრომელთა წინაშე დასახა. ჩვენი რესპუბლიკის მშრომელები, ისევე როგორც მთელი საბჭოთა ხალხი, ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებებს და ახალი ენერგიით ჩაებნენ პარტიის მიერ დასახული გეგმების განხორციელებისათვის ბრძოლაში.

სწორად წარმართოთ მასების ენთუზიაზმი და შემოქმედებითი ენერგია ძირითადი პრობლემების გადწყვეტისათვის, უზრუნველვყოთ კონკრეტული და მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლისადმი, მუდმივად სრულვყოთ სოფლის მშრომელთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები — აი ის მაღალი მოთხოვნა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა წაუყენა ხასოფლო საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მუშაკებს, პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნამ შექმნა საუკეთესო პირობები პარტიული ორგანიზაციებისათვის, პარტიული მუშაკებისათვის, რათა ისინი უფრო ღრმად ჩასწვდნენ საქმეს, მარტო კეთილი სიტყვით არ დაუჭირონ მხარი მოწინავეს, ახალს სოფლის მეურნეობაში. „ᲓᲦᲔᲐᲜᲓᲚᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, — ამბობს ამხანაგი ნ. ს. ხრუშჩოვი, — ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲜᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲜᲝᲗᲔᲡᲓᲔᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲬᲐᲠᲛᲐᲠᲗᲗᲝᲗ ᲛᲐᲡᲔᲑᲘᲡ ᲔᲜᲗᲣᲖᲘᲐᲖᲛᲘ და შემოქმედებითი ენერგია ძირითადი პრობლემების გადწყვეტისათვის, უზრუნველვყოთ კონკრეტული და მაღალკვალიფიციური ხელმძღვანელობა სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციისათვის ბრძოლისადმი, მუდმივად სრულვყოთ სოფლის მშრომელთა შორის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის ფორმები და მეთოდები — აი ის მაღალი მოთხოვნა, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმმა წაუყენა ხასოფლო საწარმოო სამმართველოთა პარტიული კომიტეტების მუშაკებს, პარტიულ ორგანიზაციებს, თვითეულ კომუნისტს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმზე ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ პარტიული ორგანოების საწარმოო პრინციპის მიხედვით გარდაქმნამ შექმნა საუკეთესო პირობები პარტიული ორგანიზაციებისათვის, პარტიული მუშაკებისათვის, რათა ისინი უფრო ღრმად ჩასწვდნენ საქმეს, მარტო კეთილი სიტყვით არ დაუჭირონ მხარი მოწინავეს, ახალს სოფლის მეურნეობაში. „ᲓᲦᲔᲐᲜᲓᲚᲔ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲨᲘ, — ᲐᲛᲑᲝᲑᲡ ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲘ Ნ. Ს. ᲮᲠᲣᲨᲩᲝᲕᲘ, — ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲙᲔᲑᲛᲐ, ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲔᲑᲛᲐ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲝᲓᲔᲜᲔ ᲐᲠᲐ ᲛᲐᲠᲗᲝ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲘᲓᲔᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲘᲡᲘᲜᲘ ᲙᲝᲚᲔᲥᲢᲘᲣᲚᲐᲓ ᲣᲜᲓᲐ ᲘᲪᲜᲝᲗᲔᲡᲓᲔᲜᲔ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲜᲗ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ, ᲤᲐᲠᲗᲝᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲠ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐᲨᲘ.

ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲡᲐᲣᲤᲠᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲓᲐᲛᲬᲘᲠᲔᲑᲚᲘᲗ ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲛᲐᲦᲚᲔᲑᲓᲐᲜ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲩᲠᲔᲜᲔᲜ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲨᲘ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲛᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲛᲐ ᲒᲐᲨᲐᲚᲔᲡ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲗᲐ ᲛᲔᲣᲠᲜᲝᲑᲘᲡ ᲥᲘᲛᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ. ᲐᲛ ᲛᲮᲠᲘᲕ ᲡᲐᲣᲤᲠᲘᲡᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲛᲘᲦᲬᲔᲕᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲘᲡᲔ ᲛᲝᲣᲬᲘᲚᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲦᲬᲔᲣᲚᲘ ᲛᲝᲛᲐᲒᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲮᲝᲠᲪᲘᲔᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲪᲓᲘᲚᲘᲐ.

ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲪᲓᲔᲚᲝᲑᲐ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚᲘ ᲓᲝᲜᲔ ᲓᲐ ᲡᲘᲛᲬᲘᲤᲘ, აი საით უნდა გამოჩნდეს ორგანიზატორული მოღვაწეობის მაღალი დონე და სიმწიფე, აი საით უნდა წარიმართოს სოფლის კომუნისტთა გულმოდგინება და უნარი.

არა სიტყვით, არამედ საქმით უნდა ვუჭერდეთ მხარს ახალსა და მოწინავეს. ეს კრიტიკული შენიშვნა, რომელიც პლენუმზე გამოითქვა, ჩვენი რესპუბლიკის პარტიულ ორგანიზაციებსაც ეხება. საჭიროა გადაჭრით ავამაღლოთ ნოვატორთა სკოლების მეცადინეობის ხარისხი, დროულად დავუჭიროთ მხარი ყოველ სასარგებლო ინიციატივას, რომელსაც ცალკეული მეურნეობები იჩენენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის გზაზე.

„ორგანიზატორული მუშაობა — აი მთავარი. ეს აუცილებლად უნდა გვახსოვდეს, განსაკუთრებით ახლა, როცა პარტიისა და ხალხის მთელი ძალები მიმართულია ძირეული პრობლემების გადაწყვეტისაკენ — ქიმიური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის განვითარებისაკენ. ამ მარტივი ჭეშმარიტების საუკეთესო დადასტურება კი თვითეული კოლექტივის მუშაობის კონკრეტული შედეგი იქნება.

ᲠᲝᲒᲝᲠ ᲛᲝᲔᲛᲖᲐᲓᲔᲗ ᲗᲥᲕᲔᲜ ᲗᲔᲡᲚᲕᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ!?...

ᲞᲠᲝᲒᲠᲔᲡᲣᲚᲘ ᲬᲔᲡᲘᲗ

ᲗᲗᲗᲠᲘ ᲬᲧᲐᲠᲝ. (ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠ.). საწარმოო სამმართველოში შემავალი კოლმეურნეობების წყრები და საბჭოთა მეურნეობების შუბები ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებს ყოველმხრივ მზად შეხვდნენ. ცოტა ხანიც, და სიმინდის თესვა დაიწყება. ამ სამუშაოსათვის სოფლების ასურეთის, კოდის, ბორბალოს და სხვა კოლმეურნეობები ყოველმხრივ მზად არიან.

სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობამ (თავმჯდომარე ვ. ელიზბარაშვილი) წელს. სიმინდის დასათესად ნიადაგი მზრალად მოხნა. მოიმარაგა მინერალური და ორგანული სასუქები. თესლი უკვე მზად აქვთ საჭირო რაოდენობით. გათვალისწინებულია ქიმიის გამოყენებით . საშუალოდ ჰექტარზე მოიყვანონ 35 ცენტნერი სიმინდი მარცვლად. მინდვრებში უკვე გატანილია ათას ტონაზე მეტი მინერალური სასუქი. სასუქი ყველგან ნიადაგის წინასწარ შესწავლის შემდეგ შეაქვთ.

მექანიზატორები ი. ჯანგებაშვილი, შ. მგალობლიშვილი, დ. ჯანგებაშვილი, ა. ბახტურაული, მ. აბულაშვილი და სხვები ახლა სასიმინდე ნიადაგს ამზადებენ.

ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘ ᲐᲚᲛᲐᲕᲚᲝᲒᲐ

გგმგეკორის რაიონის საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში ახალი შრომითი აღმავლობაა. კოლმეურნეები, მექანიზატორები დღითიდღე ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, ემზადებიან გაზაფხულისათვის. ჩაის პლანტაციის ნიადაგის გადაბარვა და სიმინდის დასათესი ნიადაგის ხვნა ჩქარი ტემპით მიმდინარეობს ნორიოს, ეწერის, ძველი აბაშის ძერჟინსკის, სამიქაოს მახარაძის, ნოღოხაშის მარქსის სახელობის და სხვა კოლმეურნეობებში.

ᲘᲕ. ᲗᲝᲤᲣᲠᲘᲐ.
სოფლკორი.

ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲣᲚᲜᲘ

გაზაფხულისათვის მზადების დღეებში რესპუბლიკის მექანიზატორებმა გაამლიერეს ტრაქტორების რემონტის გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს. 20 თებერვლისათვის ტრაქტორების რემონტის გასული წლის მეოთხე კვარტალისა და მომდინარე წლის პირველი კვარტალის გეგმა რესტემპი და პუბლიკაში შესრულებულია 103 პროცენტით. შარშან ამავე პერიოდში გეგმა შესრულებული იყო 98 პროცენტით.

ტრაქტორების რემონტის გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულეს ყვარლის, გურჯაანის, საგარეჯოს, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დუშეთის, გორის, ხაშურის, ახალციხის, ფოთის, ბაღდათის, ზესტაფონის, წყალტუბოს, მაიაკოვსკის, სამტრედიის, ლანჩხუთის, მახარაძის, გეგეჭკორის, ცხაკაიას საწარმოო სამმართველოებმა, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებმა.

ᲛᲖᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲖᲔᲡᲢᲐᲤᲝᲜᲘᲡ საწარმოო სამმართველოს მხვნელ-მთესველები, რომლებიც აბორიგენებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ყოველმხრივ მომზადებული ხვდებიან გაზაფხულს. წელს საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში უნდა დათესოს 8.200 ჰექტარი სამარცვლე სიმინდი, ხოლო სასილოსე მასად — 3.700 ჰექტარი. სამამისოდ სათესლე მასალა მზად აქვთ. ლაბორატორიულად შემოწმებულია და სრულ კონდიციამდე აიყვანეს 6.500 ცენტნერი სიმინდის თესლი ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 5.600 ცენტნერისა, აქვთ 1.400 ცენტნერი სოიის თესლი, ანუ გეგმით გათვალისწინებულზე 280 ცენტნერით მეტი.

საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის საასოფლო-სამეურნეო ტექნიკის — ტრაქტორებისა და მისაბმელი მანქანების შეკეთება უკვე დაამთავრეს პირველი სეირის ძნელაძის სახელობის, მეორე სეირის ლენინის სახელობის, თერჯოლის ლენინის სახელობის, ღვანკითის, სიქთარვის, კვაჭირისა და გოდოგნის კოლმეურნეობებმა.

ზესტაფონელი მხვნელ-მთესველები სიმინდის დასათესად წელს 500 ჰექტარზე მეტ ახალ მიწას აითვისებენ. სულ მალე მექანიზატორები, კოლმეურნეები მინდვრად გავლენ და საგაზაფხულო კულტურების თესვას შეუდგებიან.

Თ. ᲙᲣᲢᲐᲚᲐᲫᲔ.

ᲮᲜᲐᲕᲔᲜ, ᲡᲐᲡᲣᲥᲔᲑᲡ ᲘᲛᲐᲠᲐᲒᲔᲑᲔᲜ

ᲙᲣᲠᲓᲔᲚᲐᲣᲠᲘᲡ ფ. ენგელსის სახელობის კოლმეურნეობამ ხუთ დღეში ვენახებისათვის 70 ათასი ცალი სარი მოიმარაგა, ნამყენი ვაზისათვის 150 ათასი ცალი მწარე ვაზის ლერწი მოამზადა, 40 ჰექტარზე ვაზი გასხლა. სწრაფი ტემპით მიმდინარეობს ძირების გამობარვა. სასიმინდე ნაკვეთებში დიდძალი სასუქები გაიტანეს.

ვარდისუბანში, ნაფარეულში, ფშაველში — თითქმის ყველგან საგაზაფხულო საადრეო ხვნა დაიწყო. უკვე მოხნულია ოთხას ჰექტარზე მეტი.

Ა. ᲙᲘᲠᲐᲕᲚᲘᲫᲔ.
თელავის საწარმოო სამმართველოს აგრონომი.



პატრიოტული აღმავლობით შრომობენ რესპუბლიკის მრეწველობისა და სოფლის მშრომელები. ასეა, მაგალითად, რუსთავის სინთეზური ბოჭკოს საცდელ წარმოებაში. მარცხენა სურათზე თქვენ ხედავთ ამ საწარმოს მოწინავე მუშებს ლ. გალაშვილსა და ი. ვეფხვაძეს; კრწანისის ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობის ტრაქტორისტებს ო. ქანთარიასა და გ. გოგოლაძეს (შუა სურათზე) ყოველდღიურად 8-10 ტონა სუპერფოსფატი გააქვთ საგაზაფხულო ბოსტნეულისათვის განკუთვნილ ნაკვეთებში; მარჯვენა სურათზე კი აღბეჭდილი არიან თბილისის კლავიშებიანი ინსტრუმენტების ფაბრიკის მოწინავენი ლ. მისალიდი და ვ. ბიბილაშვილი, რომლებსაც ბეჯითი შრომით თავიანთი წვლილი შეაქვთ კოლექტივის საერთო წარმატებაში.

ფოტო გ. კიკვაძის, ს. კელაძისა და გ. გოგოხიასი.

ᲓᲘᲓᲛᲜᲘᲨᲕᲜᲔᲚᲝᲕᲐᲜᲘ ᲜᲘᲨᲐᲜᲡᲕᲔᲢᲘ ᲡᲡᲠᲙ-ᲛᲝᲜᲦᲝᲚᲔᲗᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲒᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ

ᲐᲛᲮᲐᲜᲐ�გᲔᲑᲛᲐ ნ. ს. ხრუშჩოვმა და ლ. ი. ბრეჟნევმა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხელმძღვანელებს ამხანაგებს ი. ცედენბალსა და ჟ. სამბუს გაუგზავნეს მისასალმებელი დეპეშა საბჭოთა კავშირ-მონღოლეთის მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ძმური ურთიერთობა, კეთილნაყოფიერ გავლენას ახდენს იმაზე, რომ ორივე ქვეყნის ხალხებმა შეასრულონ სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის ისტორიული ამოცანები, „გავლენას ახდენს საბჭოთა კავშირისა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ხალხთა, ერთობლივ ბრძოლაზე სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ერთობის განმტკიცებისათვის, მთელი მსოფლიოს მშვიდობის განმტკიცებისათვის.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო დეპეშაში მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრ მ. დუგერსურენსადმი ულოცავს მას სსრ კავშირსა და მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებისა და შეთანხმების დადების მე-18 წლისთავს. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ.

მიენიჭოთ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ საპატიო წოდება და გადაეცეთ „ᲒᲛᲘᲠᲘ ᲓᲔᲓᲘᲡ“ ორდენები და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელები დიდებს, რომლებმაც შობეს და აღზარდეს ათი შვილი:

1. **ᲐᲠᲩᲘᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ქვაჩა ლეონის ასულს — კოლმეურნეს, ცხაკაიას რაიონის სოფელ ახუთთან.
2. **ᲖᲐᲨᲐᲛᲘᲐᲫᲔᲡᲗᲕᲘᲡ** რეიმე თემოს ასულს — ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აჭარის ასს რესპუბლიკის ხულოს რაიონი.
3. **ᲖᲘᲐᲜᲘᲐᲗᲘᲡ** ლუსი გიგოს ასულს — ქდანოვის სახელობის კოლმეურნეობის კოლმეურნეს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონი.
4. **ᲒᲝᲪᲘᲠᲘᲫᲔᲡ** ნინი პორფილეს ასულს — დიასახლისს, ზუგდიდის რაიონის სოფელი ხობი.
5. **ᲓᲘᲓᲛᲐᲜᲘᲫᲔᲡ** ფიქრია მუსტაფას ასულს — კოლმეურნეს, აჭარის ასს რესპუბლიკის ჩაქვის რაიონის სოფელი ხელვაჩაური.
6. **ᲭᲐᲠᲩᲐᲕᲐᲨᲕᲘᲚᲘ** ოლღა ეფვთიმეს ასულს — დიასახლისს, ცხაკაიას რაიონის ქალაქის ტიპის დაბა ჩხოროწყუ.
7. **ᲠᲐᲢᲔᲚᲘᲐᲡ** შინაკი ეგოეს ასულს — კოლმეურნეობა „ლენინის ანდერძის“ კოლმეურნეს, აფხაზეთის ასს რესპუბლიკის გალის რაიონი.
8. **ᲩᲘᲡᲚᲔᲙᲝᲛᲘᲐᲡ** ნადეჟდა გრიგოლის ასულს — დიასახლისს, ქალაქი თბილისი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ბრეჟნევი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, ᲙᲠᲔᲛᲚᲘ,
1964 Წ. 25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲩᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲛᲝᲚᲐᲪᲐᲠᲐᲙᲔᲑᲐ ᲙᲝᲚᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მოლაპარაკება კულტურული თანამშრომლობის შესახებ 1964 წელს.

მოლაპარაკებაზე საბჭოთა დელეგაციას მეთაურობს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან კულტურული ურთიერთობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. ნ. მედვედევი, ჩინეთის დელეგაციას — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში პან ძი-ლი. (საკდესი).

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡᲐ

ᲐᲛᲮ. Ჯ. Ლ. ᲪᲘᲛᲐᲯᲣᲠᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲞᲐᲢᲘᲝ ᲡᲘ�გᲔᲚᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲛᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ სამოცი წლისთავთან დაკავშირებით და რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობაში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის ამხ. **ᲙᲝᲜᲡᲢᲐᲜᲢᲘᲜᲔ ᲡᲝᲤᲠᲐᲢᲘᲜᲘᲫᲔ ᲪᲘᲛᲘᲯᲣᲠᲘᲫᲔ** დაჯილდოვდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **ბ. ᲫᲝᲬᲔᲜᲘᲫᲔ**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. ᲯᲯᲐᲠᲐᲫᲔ**

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ. 1964 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ.

ᲓᲐᲜᲘᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠ-ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲡ ᲔᲜᲡ ᲝᲢᲝ ᲞᲠᲐᲒᲘᲡ ᲕᲘᲖᲘᲢᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ

26 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲡ თბილისიდან მოსკოვს გაემგზავრნენ დანიის პრემიერ-მინისტრი ენს ოტო კრაგი მეუღლითურთ და მისი თანმხლები პირები. დ

ქიმია და პარტიული კომიტეტი

მძლავრი ქიმიური ინდუსტრიის შექმნა პარტიამ კომუნისტური მშენებლობის დამკვრელურ ფრონტად გამოაცხადა. ეს გასაგებიც არის: ქიმია მძლავრ ძალად იქცევა მუშისა და მიწათმოქმედის ხელში. როგორც ნ. ს. ხრუშჩოვმა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენაზე, ქიმია „...ის გასაღებია, რომელიც გაგვიღებს მატერიალურ სიკეთეთა სიუხვის კარს".

ახლა, როცა მიზნები ნათელია, ხოლო ამოცანები გარკვეული, ისევ დაგვრჩენია, რომ მთელი ჩვენი ძალები, ცოდნა და გამოცდილება მოვახმაროთ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებას, პრაქტიკულ საქმეებად ვაქციოთ პარტიის წინასწარგასახულობანი.

ჩვენი რაიონის პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ პლენუმის მიმდინარეობის დღეებშივე ჩაუდგნენ სათავეში პლენუმის მასალების საფუძვლიანად გაცნობას. ამასთან პარტიული ორგანიზაციები პლენუმის მასალების შესწავლას უნარიანად უკავშირებენ იმას, რომ გაზარდონ მშრომელთა პასუხისმგებლობა და ინიციატივა კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკული ამოცანების წარმატებით განხორციელებისათვის. ამ მხრივ განსაკუთრებით კარგად მუშაობენ ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო, კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო, ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნებისა და სხვა საწარმოთა პარტიული ორგანიზაციები. დიდი ქიმიის საკითხების შესასწავლად რაიონში შეიქმნა სახალხო უნივერსიტეტები და სკოლები, რომლებსაც მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ხელმძღვანელობენ, ქარხნებსა და ფაბრიკებში, სკოლებსა და სამეცნიერო - საკვლევ ინსტიტუტებში მოეწყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის მასალებისადმი მიძღვნილი გამოფენები, სტენდები.

ორგანიზებულად ჩატარდა საწარმოებში თეორიული კონფერენციები თემაზე: „დეკემბრის პლენუმი და დიდი ქიმიის განვითარების ამოცანები".

რაიონული პარტიული აქტივის კრებაზე, რომელიც სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შედეგებს და რაიონის პარტიული ორგანიზაციის ამოცანებს მიეძღვნა, კომუნისტებმა აღნიშნეს შემოქმედებითი შრომის მიღწევები, მწვავედ ილაპარაკეს ჯერ კიდევ არსებულ ნაკლოვანებებზე.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმების ისტორიულმა გადაწყვეტილებებმა შრომელთა საწარმოო და პოლიტიკური აქტივობის ზრდა გამოიწვია. რაიონის საწარმოებმა წარმატებით დაასრულეს გასული სამეურნეო წელი. გეგმის ზევით მისცეს სამშობლოს ასეული ათასობით მანეთის პროდუქცია. წარმატებებით აღინიშნა ახალი წლის პირველი ორი თვე. კიროველებმა ასზე მეტი შესანიშნავი ჩარხი მიაწოდეს დიდი ქიმიის 20 საწარმოს, მათ შორის ბარკოვის ქიმიური მანქანათმშენებლობის ქარხნებს, კუიბიშევისა და რუბეჟნოეს ქიმიურ კომბინატებს.

ქიმია ფართოდ იკაფავს გზას რაიონის თითქმის ყველა საწარმოში. ქიმიზაციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში არიან კომუნისტები.

ელმავალსამშენებლო ქარხანაში კომუნისტების ინიციატივით ძვირად ღირებული ფერადი ლითონები შეცვალეს იაფი და უფრო გამძლე მასალებით. ამ გზით აქ მიაღწიეს თვითღირებულების მკვეთრ შემცირებას და რესპუბლიკის დაგროვების ფონდში 120 ათასი მანეთი შეიტანეს. მარტო პლასტმასის დეროებმა ქარხანას წელიწადში 32 ტონა მაღალხარისხოვანი ფოლადის ნაგლინისა და 5 ტონამდე ფორმირებული მიკანიტის ეკონომია მისცა.

აღნიშნული ქარხნის კოლექტივის შემოქმედებითი ძიებით დამზადდა წევის ძრავის კორპუსიანი კოლექტორი, რაც პირველია საბჭოთა კავშირში და 170 ათას მანეთ ყოველწლიურ ეკონომიას იძლევა.

მტკიცედ დაუმეგობრდნენ ქიმიას თბილისის უძველესი საწარმოს — ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხნის კომუნისტები. ისინი თუჯის, ფოლადის, თიხრის ნაცვლად წარმოებაში ფართოდ იყენებენ სინთეზურ და ხელოვნურ მასალებს.

ქარხნის პარტიული ორგანიზაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა პრაქტიკულად განხორციელების სული და გული. აქ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიმდინარე წლის პირველ ნახევარში მიაღწიონ ისეთ საწარმოო სიმძლავრეს, რომელიც შვიდწლედის დამლევისთვის არის დაგეგმილი. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებლებმა გადაწყვიტეს წელს წარმოებაში დანერგონ 25 პროცენტით მეტი პლასტმასისა და კაპრონის დეტალი, ვიდრე შარშან, დაზოგილი ლითონით შეაკეთონ დაახლოებით 50 ორთქლმავალი და სხვ.

ქარხნის პარტიული ორგანიზაციის სახასხლოდ უნდა ითქვას, რომ საწარმოს ყოველი მეოთხე მუშაკი რაიმე სიახლის ავტორია. ტექნიკური პროგრესისათვის ბრძოლაში ჩაბმულია უკლებლივ მთელი კოლექტივი. გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა რიცხვი ხუთასამდე კაცს აღწევს.

თბილისის ავტოსარემონტო ქარხანაში ჯერ კიდევ ხუთი წლის წინათ გადადგა ქიმიამ პირველი ნაბიჯები, აქ მნიშვნელოვნად შეიცვალა ლითონის ნაწილება კაპრონის დეტალებით. წარმოებაში დაინერგა 36 დასახელების კაპრონის დეტალი. ისინი გამოცდას წარმატებით აბარებენ. მაგრამ ავტოშემკეთებლები ახალ გზებსა და საშუალებებს ეძებენ.

პლასტმასის ქარხანა ჩვენს დედაქალაქში დიდი ქიმიის პიონერია. მისი პროდუქცია ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში შეგხვდებათ. საწარმო დაახლოებით ექვსასი დასახელების დეტალს უშვებს.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ კიროვის ჩარხსამშენებლო და 26 კომისრის მანქანათმშენებელი ქარხნებში ქიმიის ნაკეთობებისადმი ერთგვარ უნდობლობას იჩენენ. ეს ფაქტი მხილებულ იქნა რაიონული - პარტიული აქტივის კრებაზე. აღნიშნული ქარხნების ხელმძღვანელებმა ამ კრიტიკიდან სათანადო დასკვნები გააკეთეს.

კომუნისტურმა პარტიამ მოუწოდა კომკავშირს, ყველა ჭაბუკს და ქალიშვილს მთელი თავიანთი მჩქეფარე ენერგია მიახმარონ ქიმიური ინდუსტრიის განვითარებას, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ელმავალსამშენებლო და პლასტმასის ქარხნების ახალგაზრდები ქიმიური წარმოების რეზერვების ძიებისა და გამოყენებისათვის შეჯიბრების ინიციატორები გახდნენ.

რაიონის ახალგაზრდები მხურვალედ გამოეხმაურნენ პარტიისა და კომკავშირის მოწოდებას კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მონაწილეობისადმი, პირველნი წავიდნენ ქიმიური ობიექტების მშენებლობის უმნიშვნელოვანეს უბნებზე.

დიდი ქიმიისათვის ლაშქრობაში, შვიდწლედის დავალებათა შესრულებაში ათასობით კომუნისტმა და კომკავშირელმა ისახელეთ თავი. ვინ არ იცნობს ვ. პაპინაშვილს, ლ. ჯიბლაძეს, კ. ილურიძეს, ა. მარგველაშვილს, შ. ფირცხალავას, ა. შანტუნიანს, ბ. ხმიადაშვილს, რომლებმაც დროს გაუსწრეს, შვიდწლედის დავალებანი კარგა ხანია შეასრულეს.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები ფართოდ ავრცელებენ სახალხო მეურნეობის ქიმიზაციისათვის მებრძოლი მოწინავე საწარმოების, სამშენებლოების, ადამიანების გამოცდილებას, ოპერატიულად სახავენ გზებს შემნეული ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად.

ახალი, მძლავრი შრომითი და პოლიტიკური აღმავლობაა თბილისის ლენინის რაიონის საწარმოებში. შრომელები ერთსულოვნად იწონებენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის ისტორიულ გადაწყვეტილებებს.

სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია, მისი შემდგომი მძლავრი აღმავლობა სოფლის და საწარმოთა პარტიული ორგანიზაციების სისხლხორცეული საქმეა. ინტენსიფიკაცია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების სიუხვის წყაროა.

სოფლის მეურნეობის ქიმიზაცია რეალურია სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში. ამ უმნიშვნელოვანეს საქმეში, დიდი ქიმიის განვითარებაში სერიოზული წვლილი შეაქვს კიროვის სახელობის ჩარხმშენებელთა ქარხნის კოლექტივს. წარმატებით სრულდება დიდი ქიმიის ობიექტების დაკვეთები.

ახალ, შესანიშნავ ტექნიკას აწვდის სოფელს — თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხანა. თებერვლის პლენუმის მუშაობის დღეებშივე ქარხნის კოლექტივმა ახალი ვალდებულებანი იკისრა: ვადაზე ადრე მიაწოდოს სოფელს ყურძნის, ჩაის და სხვა პროდუქტების წარმოებისათვის მაღალხარისხოვანი 25 სახის მანქანა-იარაღი. სოფლის დაკვეთებზე ასევე წარმატებით მუშაობს სამტრესტის მექანიკური ქარხნის კოლექტივი. ქარხნები მასობრივად უშვებენ ავრეთვე სასოფლო-სამეურნეო მანქანების სათადარიგო ნაწილებსაც.

ამას წინათ მუშაობა დაამთავრა საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობამ, რომლის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულება ჩვენი რესპუბლიკის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ყველა დარგში ახალ წარმატებათა გასაღები იქნება.

დ. აბუთიძე,
საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

გარჯა, სიუხვე

ოანავილეობას გიღებდი სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის ისტორიული პლენუმის მუშაობაში. ყურადღებით გუსმენდი მომხსენებელს, თანამოსაუბრეებსა და მოკამათეებს, განსაკუთრებით კი ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვს. ისინი მოგვითხრობდნენ ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მშრომელთა უდიდეს წარმატებებზე და ახლო მომავლის შესანიშნავ პერსპექტივებზე. ძალაუნებურად ვფიქრობდი და ვამაყობდი იმის შეგნებით, რომ ამ უდიდეს წარმატებებში ჩემი თანასოფლელების წვლილიც არის.

ჩვენს კოლმეურნეობას აქვს 900 ჰექტარი სასოფლო-სამეურნეო სავარგული, რომელთაგან 470 ჰექტარი სახნავია. ამ ფართობზე შვიდწლედის მეხუთე წელს ვიწარმოეთ 5.100 ტონაზე მეტი სხვადასხვა სახის პროდუქცია, მთლიანად დავიკმაყოფილეთ საკუთარი მოთხოვნილება და სახელმწიფოს მივყიდეთ 4.400 ტონა ხორბალი, სიმინდი, ლობიო, შაქრის ჭარხალი, ხილი, ყურძენი, ხორცი, რძე და მეზცენარეობისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტები.

ცუდი ამინდების მიუხედავად, 1963 წელს ჩვენმა მემიწდურეებმა და მეჭარხლეებმა უხვი მოსავალი მოიყვანეს. 170 ჰექტარი სიმინდის ნათესის ყოველ ჰექტარზე აღებულია 56 ცენტნერი მარცვალი, ხოლო ძვირფასი ძირხვენების 35 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე — 906 ცენტნერი ნედლეული შაქრის მრეწველობისათვის. ბუნების კაპრიზებზე გავიმარჯვეთ თავდადებული შრომით და მიწის სავარგულების გონივრული გამოყენებით.

ROგორ მივიღეთ ჰექტარზე 52 ცენტნერი მარცვალი, 1.500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი.

თვითეული ჰექტარი მიწის მოსავლიანობის მკვეთრად გადიდების მიზნით ფართოდ გამოვიყენეთ შემჭიდროებული შერეული ნათესების პრაქტიკა. მაგალითად, 110 ჰექტარ ფართობზე გგქონდა სიმინდისა და ლობიოს შერეული ნათესი. ამან საშუალება მოგვცა გაგვეუმჯობესებინა ნიადაგის ნაყოფიერება და სიმინდის უხვი მოსავლის მიღებასთან ერთად საშუალოდ ჰექტარზე მიგვეღო 7 ცენტნერი ლობიო. ეს ღონისძიება გამოვიყენეთ ბაღების რიგთაშორისებშიც. ამასაც დამატებითი შემოსავალი მოგვცა და კოლმეურნეობის სალარო გამდიდრა. გარდა ამისა, 1962 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად გავზიდეთ შაქრის ჭარხლის სუფთა ნათესები. ამის შედეგად გაიზარდა არტელის ფულადი შემოსავალი და კოლმეურნეთა შრომის ანაზღაურება.

კოლმეურნეობის საერთო წარმატებებში დიდი წვლილი მიუძღვით ჩვენს შუქურებს. მაგალითად, არტელის მესამე ბრიგადამ, რომელსაც ვ. ფინდიმეილი ხელმძღვანელობს, 30 ჰექტარი შერეული ნათესების საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 110 ცენტნერი სიმინდი და 7 ცენტნერი ლობიო. ამავე ბრიგადამ იქვსი ჰექტარი პლანტაციის საშუალოდ ჰექტარზე 1.300 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა. მას არ ჩამორჩება პირველი ბრიგადა, რომელსაც რ. ბასილაძე მეთაურობს. ამ ბრიგადამ 25 ჰექტარი შერეული ნათესის საშუალოდ ჰექტარზე მიიღო 80 ცენტნერი სიმინდი და 10 ცენტნერი ლობიო. სარეკორდო მოსავალი — ჰექტარზე 1.500 ცენტნერი შაქრის ჭარხალი მოიყვანა კომუნისტ ელიზბარ გიუნაშვილის რგოლმა. ამასთან რგოლმა ცენტნერი შაქრის ჭარხლის თვითღირებულება 50 კაპიკამდე დაიყვანა.

შარშან საშემოდგომო ხორბლის ნათესების ზოგიერთ ნაკვეთზე, სადაც „უფხო-1" გვქონდა დათესილი, საშუალოდ ჰექტარზე 52 ცენტნერი მარცვალი მივიღეთ. ეს შესაძლებელი გახდა ამ ნაკვეთების გულმოდგინეე და ნოყიერებით და მეცნიერული დამატებითი გამოკვებით, მინერალური და ორგანული სასუქების უნარიანად გამოყენებით.

უხვი მოსავალი მივიღეთ ხეხილის ბაღების ზოგიერთ ნაკვეთზე. მაგალითად, იმ 12 ჰექტარი ბაღის თვითეულ ჰექტარზე, სადაც გამოყენებული იყო სასუქები და მეცნარეთა მავნებლებისა და დაავადებათა წინააღმდეგ ბრძოლის ქიმიური საშუალებანი, მივიღეთ 70 ცენტნერი მაღალხარისხოვანი ხილი — ერთიორად მეტი, ვიდრე სხვა ბაღებში. საკუთარი გამოცდილებით ერთხელ კიდევ ნათლად დავრწმუნდით ქიმიის უდიდეს ძალაში, იმაში, რომ ივი მხვნელ-მთესველის ერთგული მოკავშირეა კეთილშობილურ შრომაში.

რა თქმა უნდა, ჩვენ გავანოყიერებდით ჩვენი მიწის ყველა სავარგულს და ჩავატარებდით ყველა ნათესისა და ნარგაოის მასობრივად მკურნალობას, რომ საკმაო როდენობით გვქონოდა სასუქები, შხამქიმიკატები და სათანადო ტექნიკა. ასეთ შემთხვევაში სამშობლოს მივცემდით მემცენარეობისა და მეცხოველეობის მეტ პროდუქტებს.

პარტიის ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ ჩვენს არტელში კოლმეურნეთა შორის განსაკუთრებული ძალით გაიშალა აგროქიმიური ცოცხალ წონამდე. ზვიდწლედის მეექვსე წლის პირველი დღეებიდანვე მუშაობს აგროქიმიური სკოლა, რომელშიც ჩვენი მემანდვრეები, მექანიზატორები, მებაღეები, მეცხოველეები ღრმად სწავლობენ ნიადაგებისა და სასუქების თვისებებს, ჰერბიციდებისა და სხვა შხამქიმიკატების გამოყენების ეფექტურობას.

შარშან სარწყავი არხის წყალი მეცხოველეობის ფერმისთან მივიყვანეთ, ბოსლის მახლობლად მოვაწყეთ აუზი, სადაც ეხსნით ნაკელსა და სხვა ორგანულ სასუქებს. ეს ხსნარი სარწყავ არხში შეგვაყავს და რწყავს. დროს მინდორში გადის. ამის შედეგად ხარჯების ეკონომიას ვიღებთ და ეს საშუალებას გვაძლევს მივიღოთ ხორბლის, სიმინდის, შაქრის ჭარხლის უხვი მოსავალი. შარშან ასე ერთხელ მოვრწყეთ, წელს ორჯერ ვაპირებთ.

იმის ნათესლაყოფად, თუ რის მოცემა შეუძლია მეცნიერულ საფუძველზე დაყრდნობით თვითეულ ჰექტარ მიწას, მინდა მოვიყვანო ასეთი მაგალითი: ერთი ტონა შაქრის ჭარხალი და 50 კილოგრამი მარცვალი საკმარისია იმისათვის, რათა გავასუქოთ ერთი 20-კილოგრამიანი ბურვაკი 100 კილოგრამ ცოცხალ წონამდე. ჩვენს კოლმეურნეობაში ამ საკვების ღირებულება 13 მანეთს შეადგენს. ამას მივუმატოთ ბურვაკის ღირებულება — 35 მანეთი და დაახლოებით 1 მანეთი დანახარჯი მის მოვლაზე. მივიღებთ სულ 49 მანეთს. 1 კილოგრამი ღორის ხორცის (ცოცხალი წონით) სახელმწიფო შესყიდვის ფასი უღრის 1 მანეთსა და 10 კაპიკს. მაშასადამე, სახელმწიფოსათვის ჩაბარებული ასკილოგრამიან ღორს კოლმეურნეობისათვის მოაქვს 110 მანეთი შემოსავალი, ამას გამოვაკლოთ 49 მანეთი დანახარჯები, მივიღებთ 61 მანეთ წმინდა მოგებას.

როგორც აღვნიშნეთ, შაქრის ჭარხლის ნათესების თვითეულმა ჰექტარმა შარშან მოგვცა 906 ცენტნერი, ხოლო წელს მოსავლიანობას 1.000 ცენტნერამდე მაინც გავადიდებთ. მაშასადამე, ფლავის კოლმეურნეობაში ერთი ჰექტარი შაქრის ჭარხლის ნათესი საკვებით უზრუნველყოფს სულ ცოტა 60 ღორს, ესე იგი არტელს მისცემს 3.660 მანეთ წმინდა შემოსავალს. ჩვენ კი ვფიქრობთ წელს პირუტყვის საკვებად დამატებით დავთესოთ 40 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და გავასუქოთ 2.400 ღორი. მარტო ეს ჩვენს მეურნეობას ათეულ ათასობით მანეთ მოგებას მისცემს.

ჩვენი სოფლის მშრომელები ცდილობენ თავიანთი წელილი შეიტანონ კომუნისტური სიუხვის თასში. ამიტომ წელს ვიბრძოლებთ, რათა სახნავი მიწების თვითეულ ჰექტარზე მივიღოთ 50 ცენტნერი ხორბალი და 80 ცენტნერი სიმინდი, სახელმწიფოს მივყიდოთ შაშანდელზე ერთიორად მეტი მარცვალი.

შ. ეცაძაშვილი,
გორის საწარმოო სამმართველოს სოფელ ფლავის კოლმეურნეობა „ჩვენი შრომის" თავმჯდომარე.

ინიციატივა, თაოსნობა

კომუნისტები და ინტენსიფიკაცია

მცხეთა. („კომუნისტის" კორ.). საწარმოო სამმართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში ფართოდ გაჩაღდა პრაქტიკული მუშაობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად. სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციისათვის მებრძოლთა წინა რიგებში კომუნისტები არიან.

პარტიულმა ორგანიზაციებმა ამ დღეებში განსაკუთრებით გააძლიერეს დაბმარება აგროქიმიური სკოლებისადმი, რომლებიც აქ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმის შემდეგ შეიქმნა. პარტორგანიზაციების ინიციატივით ბევრ მეურნეობაში სწავლობენ ნიადაგის სტრუქტურას, ადგენენ აგროქიმიურ კარტოგრამებს. მუშადგება ნიადაგში სასუქების შეტანის დონეები.

საწარმოო სამმართველოს პარტიულმა კომიტეტმა გამართა ეკონომიური კონფერენცია თემაზე: „მცხეთის საწარმოო სამმართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაციის გზები და მეთოდები".

ინტერნაციონალი

ჟარტიული ცხოვრება

ასე დაიწყეს...

ახალციხე. (საკ. კორ.). საგაზაფხულო ხვნა-თესვისათვის დაუდალავად ემზადებიან სოფელ ფდის კოლმეურნეობის კომუნისტები, რომელთა რიცხვი 100-ზე მეტია. პარტიული ხელმძღვანელობის თვალი მეურნეობის ყველა უბანს სწვდება. ამ დღეებში უდელმა მექანიზატორებმა კომუნისტების გ. გიგოშვილისა და ვ. ბაფლაძის ხელმძღვანელობით დაამთავრეს სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების შეკეთება. გამზადებულია სამი დტ-54 მარკისა და ორი მსუბუქი „ბელარუსის" ტიპის ტრაქტორი და სხვ.

მინდვრად გაიტანეს 2.200 ტონაზე მეტი ორგანული სასუქი. აქედან 1.000 ტონა შეზიდულია სამოსტნე ფერმაში. სასუქების გატანაში თავი ისახელეს: მეხოსტნეობის ბრიგადაში — კომუნისტმა ს. ზაზაშვილმა და უპარტიო კომლეურნემ ბ. მერაბიშვილმა, მემინდვრეობის № 3 ბრიგადაში — კომუნისტებმა ან. ბეტაშვილმა და ბ. ბალახაშვილმა.

პირველი ნაბიჯები

ჩ ვ ე ნ ი კოლმეურნეობის წევრები ახალი შრომითი აქტივობით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებებს. და აი უკვე გადადგიან პრაქტიკული ნაბიჯებიც.

ნიადაგში შესატანად მოვიმარაგეთ მინერალური და ორგანული სასუქები, წარმატებით მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების საზამორო სამუშაოები, სრულ წესრიგში გვაქვს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა. კოლმეურნეთა დასახმარებლად შეეგზავნა აგროქიმიის შემსწავლელი ორი სკოლა. პასუხსაგებ უბნებზე სამუშაოდ დამატებით გაგზავნეთ გამოცდილი კომუნისტები.

შ. ვაშაკიძე,
სამტრედიის საწარმოო სამმართველოს დიდი ჯიხაიშის კოლმეურნეობა „წითელი ოქტომბრის" პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი.

„საქართველოს კომუნისტი" № 2

გამოვიდა ჟურნალი „საქართველოს კომუნისტი" № 2. ნომერში გამოქვეყნებულია მიწინავე წერილი — **საქართველოს კომპარტიის XXII ყრილობა; გ. გეგეშიძის** — „დიდი ქიმიის განვითარების გრანდიოზული პროგრამა შესრულებული იქნება", **ლ. ჩიქავას** — „შრომის სოციალისტური დანაწილება სოციალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის პერიოდში"; **ნ. ცხაკაიას** — „საბჭოთა ადამიანების შეგნებასა და ყოფაცხოვრებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების აღმოფხვრის შესახებ"; **გ. ხომერიკის** — „საწარმოო პრინციპი პარტიულ მუშაობაში". ჟურნალში არის განყოფილებები „**პარტიული ცხოვრება**", „**საერთაშორისო თემაზე**", „**პროპაგანდისტთა დასახმარებლად**", „**საუბარი მეცნიერების საკითხებზე**", „**კრიტიკა და ბიბლიოგრაფია**".

„ჩვენი ღირსეული თანამემამულენი"

შრომაშიც, ბრძოლაშიც...

ი ო დღეს ქუჩაში სათამაშოდ გამოსულმა ჯემალმა თავისი ბავშვური თვალებით მოზრდილთა სახეზე რაღაც ნაღველი და მწუხარება შეამჩნია. სასიხარულო ღიმილსა და მოფერებას შეჩვეულ ბავშვს ეს ეუცნაურა...

იგი შინისაკენ გაეშურა, დედასთან, რომელმაც ყველაფერი იცის და შეუძლია გააგებინოს, თუ რა მოხდა ასეთი. დედაც ნაღვლიანი დაუხვდა. ნამტირალევი. ძმამე ფიქრებში გართულმა მანია სიმონის ასულმა პირველად ვერც კი შენიშნა ოთახში თავისი ბიჭუნას შემოსვლა.

—დედიკო, შენ მაინც მითხარი, რა მოხდა ასეთი, რა გატირებს? — დედას თვალებში ჩააცქერდა და ისე იკითხა ჯემალმა.

მანია გამოერკვა, შვილი მკერდზე მიიკრა, ძმამეად ამოიხვნეშა. — არაფერი, შვილო, არაფერი.

მაგრამ ბავშვი ამით როდი დაკმაყოფილდა. დედის ხმაში შენიშნა ფარული მწუხარება და კითხვები ზედიზედ მიაყარა, არ ეშვებოდა, პასუხს ითხოვდა და, ბოლოს, დედამაც უპასუხა:

— ეხ, შვილო, რომი დაიწყო, ომი, და ბევრნი ი

ის, რა უბედურებას მოგვიტანს, რამდენ მწუხარებას!..

„ომი", „უბედურება", იმეორებდა ჯემალი, მაგრამ ვერ გაეგო ამ სიტყვების რაღაც უცნაური შინაარსი.

— მამიკო, რას მომიტან ომიდან, — მხიარულად ტიკტიკებდა წლინახევრის ბიჭუნა, როცა მეორე დღეს ნახა, რომ მისი მამა ივანე ბაიდოშვილი ომში წასასვლელად ემზადებოდა.

— ომიდან?! დავამარცხებთ მტერს, გავიმარჯვებთ და...— მიუგო მამამ და სიყვარულით გადაეცვა ხელი ხუჭუჭა თმაზე. მერე მაგრად ჩაიკრა გულში ცოლი და შვილი, გადაკოცნა და სწრაფად გაეშურა გამწვევი პუნქტისაკენ.

დიდი სამამულო ომის დაწყების მეორე დღესვე თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობის მოსახდელად ფრონტზე წავიდა ივანე ვასილის ძე ბაიდოშვილი — სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს მეცხოვრები. გამოცდილ მექანიზატორს ტანკისტობა უნდოდა, მაგრამ როცა სამხედრო კომისარიატმა იგი საარტილერიო ნაწილში გაგზავნა, უსიტყვოდ დაეთანხმა, ალბათ იქ უფრო საჭირო ვიქნებიო.

მაშინ ივანე ბაიდოშვილი 27 წლისაც არ იყო, მაგრამ ცხოვრების დიდი სკოლა ჰქონდა გავლილი. ადრე დაობლებულმა ყმაწვილმა თვითონვე ვიგაიაფა ცხოვრების რთული გზა, თავისი ადგილი მონახა საზოგადოებაში. ჯერ კოლმეურნეობაში მუშაობდა და ყველას მოსწონდა თავისი ბეჯითობითა და მხეედრიღობით, მერე 1934 წელს დაამთავრა ტრაქტორისტთა მოსამზადებელი კურსები და მუშაობდა სიღნაღის რაიონის ულიანოვკის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში. ჯერ ტრაქტორს მართავდა, მერე კომბაინის საჭეს მიუჯდა, ბოლოს კი სატრაქტორო ბრიგადის მეთაურობა დააკისრეს. თვითონაც დაუღალავად ეუფლებოდა სოფლის მექანიზატორის რთულ და საპატიო ხელობას და სხვებსაც ასწავლიდა. მანქანა-ტრაქტორთა სადგურში შვიდ წელიწადს იმუშავა ივანემ და თავისი თანამოსაქმეების სიყვარული და პატივისცემა მოიხვეჭა. მისი ბრიგადა ყოველთვის წარმატებით ანაღდებდა საწარმოო დავალებებს, მაღალხარისხოვნად ასრულებდა ყველა სატრაქტორო სამუშაოს და მალე ცხობილი გახდა მთელ საქართველოში.

ასე იყო მანამდე, სანამ ჰიტლერელთა ურდოებს ვერაგულმა თავდასხმამ არ დაარღვია საბჭოთა ადამიანების მშვიდობიანი შრომა, მათი მყუდროება.

ფრონტზე მიღებულმა უამრავმა ჭრილობამ და კონტუზიამ ვერ შეაჩერა მამაცი საბჭოთა პატრიოტი. ხშირად ჰოსპიტლის საწოლიდანვე წასულა ბრძოლის ველზე. ქვემეხის მეთაური უმცროსი სერჟანტი ივანე ბაიდოშვილი ტერის ანადგურებდა კურსკისა და ვორონეჟის ფრონტებზე, ერეკებოდა უკრაინის მიწა-წყლიდან, სპობდა მას ბუნაგში — ფაშისტური გერმანიის ტერიტორიაზე.

მადლიერმა სამშობლომ ღირსეულად დააფასა მამაცი არტილერისტის დამსახურება და მისი მკერდი მრავალი საბრძოლო ჯილდოთი დაამშვენა.

აი ომიც დამთავრდა გამარჯვებით და 1945 წლის ბოლოს ვალმოხდილი ნაომარი ვეტერანი ივანე ბაიდოშვილი მშობლიურ სოფელს დაუბრუნდა.

— გამარჯვება მოგვიტანა, შვილო ჯემალ, მამაშენმა! — სიხარულის ცრემლმორეული ლაპარაკობდა მანია. ბიჭს კი ახლაც არ ესმოდა, თუ რას ნიშნავდა დედის ლოყებზე ჩამოგორებული ცრემლები. მაგრამ მას უკვე ვანცდილი ჰქონდა ის უბედურება და სიძნელეები, რაც ომმა დაატეხა ხალხს, და ამიტომ ახლა მამის მკერდში ნაკრულმა აღტაცებით წამოძახა:

— მამიკო, შენ მოგვიტანე მშვიდობა და ბედნიერება, სიცოცხლე და სიხარული, დიახ, მამამ გამარჯვება მოგვიტანა!

ორიოდე დღეც კი არ დაუსვენია ომგადახდილს. ივანე მაშინვე მანქანა-ტრაქტორთა სადგურში წავიდა და კვლავ ხელი მოჰკიდა თავის საყვარელ საქმეს. ამ დღიდან მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაციამდე იგი სატრაქტორო ბრიგადას მეთაურობდა ულიანოვკის მტს-ში. როცა პარტიისა და ხალხის ნება-სურვილით მანქანა-ტრაქტორთა სადგურების რეორგანიზაცია მოხდა, ივანე მშობლიურ კოლმეურნეობაში გადავიდა სამუშაოდ და თავისთან წაიყვანა ბრიგადის მკლავმაგარი ვაჟკაცებიც. აქაც იგი სათავეში ჩაუდგა სატრაქტორო ბრიგადას. მთელი ძალ-ღონით და მონდომებით დიიწყო მუშაობა გამოცდილმა მექანიზატორმა. ახლა, როცა მიწასაც და ტექნიკასაც ერთი პატრონი ყავდა, ყველა პირობა შეიქმნა მანქანა-ტრაქტორთა პარკის რაციონალურად გამოყენებისათვის, უხვი მოსავლის ბედ-იღბალი თვით მექანიზატორების ხელში აღმოჩნდა. ყველაფერი ამაზე იყო დამოკიდებული, თუ როგორ გონივრულად გამოიყენებდნენ დოვლათთან მიწასა და ტექნიკას.

ნაცადი მექანიზატორი და მისი ამხანაგები უნარიანად იყენებდნენ ტრაქტორების წლიურ რემონტს, მინიმუმამდე დაპყავდათ მანქანების მოცდენა, დაუღალავად ზრდიდნენ ტრაქტორების წარმადობას. ივანე ბაიდოშვილმა, გარდა ამისა, საქართველოში ერთერთმა პირველმა აითვისა სათოხნი კულტურების კვადრატულ-ბუდობრივი თესვა, მრავალი სამარჯვო შექმნა მარცვლების ასაღები კომბაინებისა და სათესებისათვის, რამაც მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მანქანების ტექნიკური მდგომარეობა. სწორედ ივანე ბაიდოშვილი და მისი ამხანაგები იყვნენ პირველი მომდევრები ჩვენი ქვეყნის წარჩინებული მექანიზატორების ნიკოლოზ მანუკოვსკისა და ალექსანდრე გიტალოვისა, მათი მაგალითებისამებრ განახორციელეს სათოხნი კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსური მექანიზაცია. შარშანწინდელ გვალვიან წელიწადშიც კი სიმინდის ნათესების თვითეულ ჰექტარზე ხელის შრომის გამოყენებლად ამ სამუშაოლოდ აიღეს 18 ცენტნერი „მინდვრის დედოფლის" მშრალი მარცვალი. ამასთან მთელ კოლმეურნეობას დაუზოგეს ათასობით კაცადღე. შვიდწლედის მეხუთე წელს ივანე ბაიდოშვილმა კომპლექსური მექანიზაციის გზით დაამუშავა 200 ჰექტარი სიმინდი და ურწყავი მიწების თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ მიიღო 25 ცენტნერი მარცვალი. უხვი იყო მზესუმზრის მოსავალიც.

წინათ ღარიბი გლეხი ივანე ბაიდოშვილი ჩვენი ქვეყნის წარჩინებული ადამიანი გახდა. ომის შემდეგაც წელიწადი არ გასულა ისე, რომ რაიმე ჯილდო ან წახალისება არ მიეღოს. იგი საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მრავალგზის მონაწილეა. ახლა რესპუბლიკის დამსახურებულ მექანიზატორთან ხშირად მოდიან სტუმრები ბლოკნოტებით, ფოტოაპარატებით, ცდილობენ საფუძვლიანად შეისწავლონ მისი გამოცდილება, რათა მერე გააცნონ იგი სოფლის ყველა მშრომ

ლენინის მეგობარი და თანამებრძოლი

გავა საუკუნეები, მაგრამ კაცობრიობა მუდამ მადლობით მოიხსენიებს სახელოვანი რევოლუციონერის ნადეჟდა კონსტანტინეს ასულ კრუპსკაიას სახელსა და საქმეებს, რომელმაც მთელი თავისი სიცოცხლე ხალხისადმი უანგარო სამსახურს, მისი ბედნიერებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლას მოახმარა. იგი იყო მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, საბჭოთა სახელმწიფოს ერთ-ერთი თვალსაჩინო შემქმნელი, მარქსისტულ-ლენინური პედაგოგიკის კლასიკოსი. თითქმის 30 წელს მუშაობდა კრუპსკაია ერთ მწყობრში დიდ ვ. ი. ლენინთან ერთად როგორც მისი ერთგული მეგობარი, თანამებრძოლი და თანამემეგზე.

